თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

MEGA CREDIT
ფულადი გზავნილები
ქუთაისი, რუსთაველის 141. (0 431) 27 52 45; ჭავჭავაძის 55/2. (0 431) 27 67 10

№12 (700) 21 - 27 აპრილი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ბილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

აფხაზეთიდან დევნილი დევნილთა სამინისტროს სტრასბურგის სასამართლოში უჩივლებს

იხილეთ მე-2 გვერდზე

რა შეიცვალა სასამართლო ხელისუფლებაში

იხილეთ მე-3 გვერდზე

ვის ეკუთვნის ქართული მედია?

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ 2014 წლის ანგარიში

იხილეთ მე-6 გვერდზე

ჭიათურის თეატრი მაყურებელს იბრუნებს

იხილეთ მე-6 გვერდზე

საადგომო პასკა

იხილეთ მე-7 გვერდზე

ასოცირების ხელშეკრულება — მითები და ფაქტები

ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში 14 აპრილს საგანგებო განცხადება გაავრცელა. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საქართველოში არსებობენ მითები ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეში შესვლის შედეგად, პრობლემები შეექმნებათ ქართველ ფერმერებს, გაძვირდება საკვები, დაკანონდება ჰომოსექსუალთა კავშირი და ა.შ. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში მიიჩნევს, რომ ფაქტების დამახინჯება და მითების გავრცელება შეგნებულად ხდება.

ევროკავშირის წარმომადგენლობამ „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან“ (DCFTA) დაკავშირებით 40-მდე მცდარი და დამახინჯებული შეხედულება დათვალა. როგორც ჩანს, ევროპელი პარტნიორებისათვის ეს საკმაოდ შემაშფოთებელი ნიშანი აღმოჩნდა და წარმომადგენლობამ გადაწყვიტა, ამომწურავი და ვრცელი განმარტებები გაეკეთებინა ამ მითებთან დაკავშირებით. გთავაზობთ, ჩვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვან მითებს და ევროკავშირის არგუმენტებს, ფაქტის მითითებით. ევროკავშირის წარმომადგენლობა ამ განმარტებებით, შეეცადა ეჩვენებინა, თუ როგორ ხდება რეალური ფაქტების დამახინჯება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

რისთვის დასჭირდა ხელისუფლებას მორატორიუმი?

იხილეთ მე-2 გვერდზე

ქუთაისში გამართული ლიტერატურული კონკურსის ყველა გამარჯვებული ნაშრომი

იხილეთ მე-4-5 გვერდებზე

სკოლის დღიური

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, საავაჭრო ცენტრი „პოპული“. წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge
ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 7
კროსვორდი — გვ. 7

აფხაზეთიდან დევნილი დევნილთა სამინისტროს სტრასბურგის სასამართლოში უჩივლებს

აფხაზეთიდან დევნილი ვეფხია მიქაუტაძე საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებას მოითხოვს.

პარტია „თავისუფალი საქართველოს" იმერეთის ბიუროს წევრმა მიქაუტაძემ 16 აპრილს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ სასამართლოს მიერ 2006 წელს შემუშავებული დადგენილების მიხედვით, როგორც აფხაზეთიდან დევნილს, ქუთაისში ჭავჭავაძის №44-ში ერთოთახიანი ბინა უნდა მიეღო, თუმცა დღემდე ნაქირავებში ცხოვრობს.

„არსებობს გაეროს 320-ე დადგენილება, რომლის საფუძველზეც სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ნებისმიერ დევნილს ყოველგვარი კრიტერიუმების გარეშე უნდა გადასცენ ბინა, მაგრამ არ გამითვალისწინეს. 8 წელია, ბინას ველოდები, თუმცა დღემდე იძულებული ვარ, ნაქირავებში ვიცხოვრო. ჩემთან ერთად 5 ადამიანი ელოდებოდა ბინას, ისინი 4 აპრილს დააკმაყოფილეს ფართით, მე კი – არა. არაერთხელ მივმართე დევნილთა სამინისტროს წერილობითი თხოვნით, თუმცა არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. მოვითხოვ, განმიმარტონ, თუ რატომ არ მომცეს ბინა," – განაცხადა ვეფხია მიქაუტაძემ.

აფხაზეთიდან დევნილს კიდევ ერთი წერილი აქვს დაწერილი იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსის გიორგი სანთელაძის სახელზე, სადაც ის ითხოვს კუთვნილი ფართით უზრუნველყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, აპირებს, სტრასბურგის სასამართლოს მიმართოს.

ჟანა ჯანელიძე
psnews.ge

ვეფხია მიქაუტაძე

რისთვის დასჭირდა ხელისუფლებას მორატორიუმი?

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სამართალდამცავ ორგანოებს მორატორიუმისკენ მოუწოდა. ამას საზოგადოებაში სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია მოჰყვა და ირაკლი ღარიბაშვილს თავისივე ნათქვამის განმარტება მოუხდა. მისი თქმით, საზოგადოებაში მისი სიტყვების არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა.

ირაკლი ღარიბაშვილი

ირაკლი ღარიბაშვილმა მორატორიუმზე ინიციატივა მთავრობის სხდომაზე გაახმოვანა და სამართალდამცველ ორგანოებს მიმართა, მომავალში მაქსიმალურად შეიკავონ თავი იმ პირთა უფლებების კანონიერი შეზღუდვისგან, რომლებიც საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობენ. პრემიერმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ყველას თანაბრად უნდა მიეცეს შესაძლებლობა საარჩევნო კამპანია სრულფასოვნად ჩაატაროს, რის საშუალებასაც საზოგადოებაში დაგროვებული აგრესიული მუხტი არ იძლევა.

„ბოლო დღეების განმავლობაში ყურადღებით ვაკვირდები ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. ვხედავ, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ დაგროვილი აგრესია პერიოდულად არის გამოხატული ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, მაგრამ თითოეულ მოქალაქეს მინდა მივმართო, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უნდა გახდეს კიდევ ერთი დემონსტრირება იმისა, რომ საქართველოში რეალური ცვლილებები მოხდა და რომ ქვეყანას მართავს პოლიტიკური გუნდი, რომელიც მტკიცედ ადგას დემოკრატიის გზას და არის იმის გარანტი, რომ ჩატარდება ნამდვილად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები," — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. მისივე თქმით, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ყველა პარტიას სრულფასოვანი საარჩევნო კამპანიის ჩატარების საშუალება მიეცეს.

„სწორედ ამიტომ მინდა, გამოვაცხადო მორატორიუმი და მივმართო სამართალდამცავ ორგანოებს, წინასაარჩევნო პერიოდში მაქსიმალურად შეიკავონ თავი იმ პირთა კანონიერი შეზღუდვისგან და იმ პირების დაკავებისგან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საარჩევნო კამპანიაში. ეს უნდა იყოს უკიდურესი ზომა და თან იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მკაფიოდ დასაბუთებული გადაუდებელი და გარდაუვალი აუცილებლობა," — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის ინიციატივას მორატორიუმზე გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი. გიორგი მარგველაშვილის თქმით, მორატორიუმი შარშან საპრეზიდენტო არჩევნებამდეც იყო გამოცხადებული და მან საკუთარი ეფექტურობაც აჩვენა.

რამდენადაც მახსოვს, ანალოგიური მორატორიუმი საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც გამოცხადდა. ის ზომები, რომლებიც მაშინ იყო მიღებული, ეფექტურად მუშაობდა და შარშან ჩვენ ღია და კონკურენტულ გარემოში, საქართველოსთვის უპრეცენდენტო არჩევნები ჩავატარეთ. შესაბამისად, ამ ნაბიჯის გადადგმა, ვფიქრობ, გამართლებულია," — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. როგორც უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი ამბობს, მორატორიუმის გამოცხადება უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია იყო.

„მორატორიუმის გამოცხადება არჩევნების წინ ვფიქრობ, რომ ადეკვატურია, იმის გათვალისწინებით, რომ უწყებათაშორისმა კომისიამ მუშაობა უკვე დაიწყო და პირველი რეკომენდაცია, რომელიც მან ძალოვანებს მისცა იყო ის, რომ მორატორიუმი გამოცხადებულიყო. თუმცა პრემიერმა იქვე დასძინა, რომ თუ გადაუდებელი აუცილებლობა იქნება, მაშინ, ცხადია, სამართალდამცავი სტრუქტურის მუშაობა ვერ შეფერხდება," — განაცხადა ირინა იმერლიშვილმა.

მორატორიუმი — კლასიკური ფარსი?!

თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა პრემიერის მხრიდან მორატორიუმის გამოცხადებას მთავრობის მხრიდან კლასიკურ ფარისევლობად აფასებს.

„ახლა მივხვდი რატომ დამდევდა ფინანსური პოლიცია ბათუმში და სხვა ქალაქებში. ისინი გაშლეგებული ცდილობდნენ უწყისის ჩაბარებას 11 საათზე. ჯერ ფინანსურ პოლიციაში დამიბარეს და მერე ღამე დამკითხეს. როგორ ჩანს, დავალება იყო მიცემული, რომ ორშაბათამდე ყველა საქმე მოითავეთ, იმიტომ, რომ ორშაბათს ღარიბაშვილმა განცხადება უნდა გააკეთოს, რომ მორატორიუმის გამოცხადებას აპირებს. ეს კლასიკური ფარისევლობაა მთავრობის მხრიდან," — განაცხადა თბილისის ყოფილმა მერმა. საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი კი ამბობს, ხელისუფლებამ მყისიერი რეაგირება უნდა მოახდინოს და მათი აქტივისტები გაათავისუფლოს.

„ეს განცხადება აჩვენებს, რომ თურმე მართლები ვყოფილვართ, როდესაც წინასაარჩევნო გარემოს არანორმალურობაზე ვსაუბრობდით, მაგრამ თუკი ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმას აპირებს ხელისუფლება, პირველ რიგში, უნდა დაიწყოს იმ აქტივისტების, ადგილობრივ თვითმმართველობებში ჩვენი სავარაუდო კანდიდატების გათავისუფლებით, ან საქმეების დასრულებით, ხონსა და დუშეთში დაპატიმრებების კონკრეტულ საქმეებზე უნდა იყოს მყისიერი რეაგირება," — განაცხადა დარჩიაშვილმა.

უნდა ითქვას, რომ ამ „კლასიკურმა ფარსმა" — მორატორიუმზე პრემიერის ინიციატივამ საზოგადოებაში სხვადასხვა რეაქცია გამოიწვია და ხელისუფლება დანაშაულებრივი რეჟიმის მფარველობაშიც კი დაადანაშაულეს. ამიტომ პრემიერს განმარტებების გაკეთება მოუხდა. როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, ხელისუფლებას სურს, საარჩევნო კამპანია მაქსიმალურად მშვიდ გარემოში წარიმართოს და არავის უნდა მიეცეს ამ პროცესით სპეკულირების საშუალება.

„არავის უნდა მივცეთ საშუალება თქვას, რომ საარჩევნო კამპანიის წარმართვა არათანაბარ, არაკონკურენტუნარიან გარემოში მოუწია, ამიტომ ჩვენი გადაწყვეტილებით, გამოვაცხადეთ მორატორიუმი და მოვუწოდეთ სამართალდამცველ ორგანოებს, თუ გარდაუვალი აუცილებლობა არ იქნება, თავი შეიკავონ საარჩევნო კამპანიაში ჩართული ადამიანების დაკავებისგან. მგონი, აქ ყველაფერი ცხადად ითქვა და დამატებითი კითხვები წესით, არ უნდა არსებობდეს. გუშინ მოვისმინეთ სხვადასხვა წუხილი იმაზე, თუ რატომ გამოვაცხადეთ დანაშაულებრივი რეჟიმის წარმომადგენლებზე მორატორიუმი," — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. რაც შეეხება მორატორიუმის გავრცელებას სასამართლო პროცესებზე, პრემიერის განმარტებით, მისთვის უცნობია, მოხერხდება თუ არა ეს.

„არ ვიცი, როგორ შეეხება ეს სასამართლო პროცესებს, თუკი ის დაწყებულია, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ მძიმე დანაშაულს აღნიშნული მორატორიუმი არ შეეხება," — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ცოტნე კეთილაძე

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

Ⓡ — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

ადგილობრივი არჩევნების ძირითადი ვადები და პროცედურები

15 ივნისს დანიშნულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე 71 საკრებულოს 2 088 წევრი, 12 მერი და 59 გამგებელი პირდაპირი წესით აირჩევა.

ქვემოთ მოცემულია საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ დამტკიცებული საარჩევნო გრაფიკის ძირითადი ვადები და პროცედურები.

14 აპრილიდან, არჩევნების დანიშვნის დღიდან ოფიციალურად დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია.

19 აპრილს ცესკო გამოაქვეყნებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, მათ შორის ოლქების მიხედვით; ცესკო ვალდებულია სიებში კორექტივების შეტანის შედეგად ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის საბოლოო მონაცემები გამოაქვეყნოს ასევე 10 ივნისსაც.

19 აპრილს იწყება პარტიებისა და საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაციის პროცედურა, ხოლო საარჩევნო რეგისტრაციაზე საბოლოო გადაწყვეტილება ათი დღის განმავლობაში მიიღება.

3 მაისს იწყება და 9 მაისს მთავრდება საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის პროცესი.

16 მაისს პარტიებმა და ბლოკებმა საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიული სიები და მაჟორიტარი კანდიდატები უნდა წარადგინონ — მაჟორიტართა წარდგენის უფლება აქვს ასევე საინიციატივო ჯგუფებს. ამავე დღეს იწყება პარტიების/ბლოკების მიერ მერებისა და გამგებლების კანდიდატთა წარდგენის ვადა.

16 მაისს განისაზღვრება ასევე ბიულეტენზე საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი.

22 მაისს იწყება მერობისა და გამგებლობის კანდიდატთა, ხოლო 23 მაისს საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადა.

კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა 5 ივნისამდე შეეძლებათ. თუ ისინი ამ თარიღის შემდეგ მოხსნიან თავიანთ კანდიდატურებს, მათი გვარები მაინც დარჩება საარჩევნო ბიულეტენებში.

5 ივნისამდე ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა უნდა მიმართონ საარჩევნო ადმინისტრაციებს, რომელთა რეგისტრაციის საკითხიც მიმართვიდან ხუთ დღეში გადაწყდება.

8 ივნისს კი საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს ეწურებათ რეგისტრაციისთვის ცესკო-სთვის მიმართვის ვადა. ცესკო-მ ან უნდა დაარეგისტრიროს, ან უარი უთხრას რეგისტრაციაზე განაცხადის წარდგენიდან ორი დღის ვადაში.

13 ივნისის დილის 8 საათიდან დაწყებული 15 ივნისის საღამოს 8 საათამდე, როდესაც კენჭისყრა სრულდება, პოლიტიკური რეიტინგების გამოქვეყნება იკრძალება.

15 ივნისს, არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის პროცედურა დილის 8 საათზე იწყება და საღამოს 8 საათზე სრულდება, რასაც მოსდევს ხმების დათვლის პროცედურა. ამ დღეს კენჭისყრის შენობაში აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია; აკრძალულია ასევე ტელევიზიებსა და რადიოებში საარჩევნო რეკლამის გაშვება.

საოლქო საარჩევნო კომისიები არაუგვიანეს 26 ივნისისა აჯამებენ საკრებულოსა და მერის/გამგებლის არჩევნების შედეგებს და შემაჯამებელ ოქმებს გადასცემენ ცესკო-ს. არჩეული კანდიდატების უფლებამოსილების ვადა იწყება, ხოლო ძველისა წყდება შემაჯამებელი ოქმის შედგენიდან მე-11 დღეს — 7 ივლისს.

თბილისის მერისა და საკრებულოს არჩევნების შედეგებს თავად ცესკო შეაჯამებს არაუგვიანეს 9 ივლისისა.

იმ შემთხვევაში თუ მერობის და გამგებლობის კანდიდატები არჩევნების დღეს ხმათა 50%-ზე მეტს ვერ დააგროვებენ, ცესკო გამარჯვებული კანდიდატის გამოსავლენად ნიშნავს მეორე ტურს, რომელიც დანიშვნის განკარგულების მიღებიდან ორ კვირაში იმართება. საჭიროების შემთხვევაში, მეორე ტურები ივლისში გაიმართება.

ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ — ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

პირველი გვერდიდან

მითი: „ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა ქართულ კულტურასა და ტრადიციულ ფასეულობებს საფრთხეს უქმნის.“

ფაქტი: ნამდვილად არ არის ასე. ევროკავშირი რომელიმე ქვეყნის კულტურის შეცვლას კი არ ცდილობს, არამედ იღწრის ევროპის კულტურათა მრავალფეროვნების დაცვისათვის, ევროკავშირი ის ორგანიზაციაა, რომელიც ყველანაირად მხარს უჭერს და ხოტბას ასხამს მრავალფეროვნებას; ბოლოს და ბოლოს, ჩვენი დევიზია „ერთიანობა მრავალფეროვნებაში.“ ევროკავშირი პატივს სცემს საქართველოს კულტურულ ფასეულობებს. და ჩვენ გვჯერა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება ხელს შეუწყობს ამ ფასეულობათა დაცვას.

მითი: „ასოცირების შესახებ შეთანხმება აიძულებს საქართველოს, დააკანონოს ჰომოსექსუალთა შორის ქორწინება.“

ფაქტი: არა. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსაც კი არ მოეთხოვებათ ჰომოსექსუალთა შორის ქორწინების დაკანონება, რამდენიმე მათგანი კი საერთოდ არ აღიარებს ამგვარ ქორწინებას.

მითი: „ევროკავშირი აიძულებს საქართველოს, შემოიღოს დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობა, რომელიც გზას გაუკაფავს ჰომოსექსუალთა შორის ქორწინებას.“

ფაქტი: სულაც არა! საქართველო ახორციელებს ისეთ კანონმდებლობას, რომელიც მის მოქალაქეებს დისკრიმინაციისგან დაიცავს. ევროკავშირი მიესალმება ამ ინიციატივას, რომელიც ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ მოთხოვნას ევროკავშირის საგზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის თანახმად. დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობა უბრალოდ უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის მიმართ თანასწორ მოპყრობას, მათ შორის იმ მოქალაქეების მიმართაც, რომლებიც უმცირესობებს განეკუთვნებიან. ასეთი კანონმდებლობა იცავს მოქალაქეთა არსებულ უფლებებს, მაგალითად, მოქალაქეთა უფლებას, მათ მიმართ არ იქნეს გამოყენებული დისკრიმინაცია სამუშაო ადგილებზე.

მითი: „ასოცირების შესახებ შეთანხმება კიდევ უფრო გაართულებს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობას და შესაძლოა, მეტი დაძაბულობა გამოიწვიოს სეპარატისტულ რეგიონებში.“

ფაქტი: შეთანხმება არანაირად არ აქეზებს საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ. პირიქით, ის მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სტაბილურობას და თანამშრომლობას რეგიონში. საქართველო, სადაც მშვიდობა და კეთილდღეობა იქნება გამეფებული, რუსეთის ინტერესებშიც არის. ასოცირების შესახებ შეთანხმებამ შეიძლება ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დროთა განმავლობაში ყველა ის ადამიანი, რომელიც ცხოვრობს საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში, ისარგებლებს იმ უპირატესობებით, რომლებსაც მოიტანს ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის წყალობით ამაღლებული ცხოვრების დონე.

მითი: „ასოცირების შესახებ შეთანხმებამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების, მათ შორის სომხური და აზერბაიჯანული წარმომავლობის უმცირესობების — იზოლირება და მიგვიყვანოს სეპარატიზმისკენ მიმართულ მცდელობებთან.“

ფაქტი: შეთანხმება აქტიურად უჭერს მხარს დისკრიმინაციის არარსებობას და მაქსიმალურად უწყობს ხელს უმცირესობათა დაცვას. იგი აღიარებს უმცირესობების მნიშვნელოვან როლს ეროვნული ერთიანობის გრძნობის გაღრმავების საქმეში. საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის ცხოვრების დონის ამაღლების წყალობით ასოცირების შესახებ შეთანხმება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეროვნულ ერთიანობაში.

მითი: „ასოცირების შესახებ შეთანხმება ხელყოფს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტს.“

ფაქტი: ევროკავშირი ღრმა პატივისცემით არის განმსჭვალული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და საქართველოს ეროვნულ ცხოვრებაში მისი მნიშვნელოვანი როლისადმი. 2014 წლის მარტში ევროკომისარი შტეფან ფულე შეხვდა პატრიარქ ილია II-ს და მათ ისაუბრეს ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ. პატრიარქმა გამოხატა საქართველოს ევროპული არჩევანისადმი თავისი უპირობო მხარდაჭერა.

მითი: „შეთანხმების ხელმოწერა ზიანს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას.“

ფაქტი: პირიქით, საქართველო რეალურ სარგებელს მიიღებს ვაჭრობის სფეროში წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობების და ევროკავშირის ბაზრის — მსოფლიოში უდიდესი ბაზრის — მისაწვდომობის გაადვილების შედეგად. შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას მისცემს შესაძლებლობას, წამოეწიოს ევროკავშირს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით და ამის შედეგად დროთა განმავლობაში დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. ეს შექმნის ახალ შესაძლებლობებს არა მარტო ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობაში, არამედ, ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების მსოფლიო მასშტაბით აღიარების წყალობით, საქართველოს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაშიც. აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილება ქართველ მომხმარებლებს ბევრად დიდი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს, უზრუნველყოფს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციას და საქართველოს უცხოელი ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველ ადგილად აქცევს. ყველაზე სენსიტიური სექტორები სარგებელს ნახავენ ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდების წყალობით, რომლებიც შესაძლებელს გახდის საქართველოს ეკონომიკის დაუბრკოლებელ ადაპტაციას.

მითი: „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შედეგად მხოლოდ ევროკავშირი მიიღებს სარგებელს. საქართველო დაკარგავს სამუშაო ადგილებს, კომპანიებსა და ნიჭიერ ადამიანებს, რომლებიც სამუშაოდ ევროპაში წავლენ.“

ფაქტი: არ არის ასე. შეთანხმება უზრუნველყოფს ფართო ჩარჩოს საქართველოს წარმოების სტიმულირებისთვის, ბიზნესის გაძლიერებისთვის და დასაქმების ზრდისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში. შეთანხმება ითვალისწინებს რიგ დაუყოვნებელ სარგებელს საქართველოსთვის, რაიმე რეფორმების პროცესის გარეშე: 1) ევროკავშირი გაუქმებს ყველა საიმპორტო მოსაკრებელს ქართულ იმპორტზე იმ დღიდან, როდესაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ძალაში შევა. ამ გადაწყვეტილების წყალობით საქართველოს ექსპორტი დაუყოვნებელ სარგებელს მიიღებს. 2) ასევე დაუყოვნებელი სარგებელი შეიძლება მიიღონ კომპანიებმაც ევროკავშირში ან საქართველოში დაფუძნების უფრო მარტივი პირობების შემოღების წყალობით. ეს გაზრდის ინვესტიციებს და შექმნის სამუშაო ადგილებს საქართველოში. 3) კომპანიები შეძლებენ მომსახურების უფრო ფართო მასშტაბით გაწევას, ვიდრე ადრე, რაც ასევე გააფართოებს მათ საქმიანობას და შექმნის სამუშაო ადგილებს.

მითი: „ქართველი ფერმერები დაზარალდებიან რეფორმების შედეგად.“

ფაქტი: საქართველოს სოფლის მეურნეობას უზარმაზარი პოტენციალი აქვს, მაგრამ საჭიროა მისი მოდერნიზება. საჭიროა მისი უფრო ეფექტიანად წარმოება, მას ესაჭიროება ინვესტიციები და სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანების მეტი პროფესიონალიზმი და თანამედროვე უნარები. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს ამ მიზნების მიღწევას. მაგრამ ნებისმიერი რესტრუქტურიზაცია გულისხმობს, რომ ზოგიერთი ფერმერისთვის შეიძლება აღარ იყოს მომგებიანი ფერმერული საქმიანობა და მათთვის შესაძლოა უმჯობესი იყოს გადამზადება და სამუშაოს შეცვლა. ასეთ მოქალაქეებს დასჭირდებათ ახალი უნარ-ჩვევების შეძენა და ევროკავშირი ეხმარება საქართველოს ამ თვალსაზრისით შესატყვისი პროექტების შემუშავებაში. ასე მოხდა ბევრ ქვეყანაში, რომელთაც გადაწყვიტეს, გაეუმჯობესებინათ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო სექტორი, რათა მას მეტი წვლილი შეეტანა ქვეყნის ეკონომიკაში.

მითი: „ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეში შესვლის შედეგად საკვები გაძვირდება.“

ფაქტი: არ არსებობს პირდაპირი კავშირი ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესა და საკვების ფასების ზრდას შორის — ეს ფასები შეიძლება გაიზარდოს სხვადასხვა მიზეზით, როგორიც არის მარცვლეულის ცუდი მოსავალი უამინდობის ან დაავადების გამო რომელიმე კონკრეტულ წელს. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში აუცილებელი რეფორმები, განსაკუთრებით კი რეფორმები სურსათის უვნებლობის სფეროში, მიზნად ისახავს უპირველეს ყოვლისა მომხმარებლებისათვის საკვები პროდუქტების აუცილებელი უსაფრთხოების უზრუნველყოფას და მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეს ნიშნავს, რომ ზოგადად უნდა გაუმჯობესდეს ის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული პირობები, რომლებშიც საკვები მზადდება. ამან შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული ხარჯები, რომლებიც მწარმოებლებმა შეიძლება მომხმარებლებს დააკისრონ; თუმცა ეს შედეგად მოიტანს მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და ნაკლებ ხარჯებს ჯანდაცვაზე. გარდა ამისა, დამოუკიდებელი კვლევის შედეგების თანახმად, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს ხელფასებზე.

მითი: „ევროკავშირი გააგრძელებს თავისი სასოფლო-სამეურნეო ბაზრის დაცვას, მაშინ როდესაც საქართველო სრულად გახსნის თავისას.“

ფაქტი: ევროკავშირი და საქართველო ერთდროულად და სრულად გახსნიან თავიანთ ბაზრებს. ევროკავშირი არ დააწესებს საქართველოსთვის არავითარ რაოდენობრივ შეზღუდვას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტზე. ერთადერთი მექანიზმი, რომელიც ძალაში დარჩება ვაჭრობის მოცულობის მონიტორინგი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ევროკავშირში ექსპორტირებული საქონელი მართლაც საქართველოშია ნაწარმოები და არ არის იმის რისკი, რომ სხვა ქვეყნის პროდუქცია ევროკავშირში ისე შეაღწევს, თითქოს საქართველოშია ნაწარმოები.

მითი: „ევროკავშირიდან შემოსული იმპორტი ქართულ კომპანიებს ბაზრიდან გააძევებს.“

ფაქტი: მას, ვინც ამას აბმობს, ავიწყდება, რომ ხშირად, წარმოების გასაგრძელებლად ბიზნესს დახმარება უცხოეთიდან სჭირდება და რომ ევროკავშირიდან საქართველოში შემოსული საქონლის ნაირსახეობა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებულისა. მაგალითად, დღეისათვის, მანქანა-დანადგარებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების ევროკავშირიდან იმპორტი უკვე წელიწადში €346 მლნ-ს შეადგენს (2012 წლის მონაცემებით). ეს ტენდენცია, სავარაუდოდ, განმტიცდება, რადგან საქართველოს თანამედროვე ტექნიკა ესაჭიროება (არამარტო ევროკავშირიდან) იმისთვის, რომ მოხდეს მისი სოფლის მეურნეობისა და წარმოების მოდერნიზება. ასე რომ, გლობალიზებულ ეკონომიკაში, რომლის ნაწილი, რასაკვირველია, საქართველოც არის, არ არის ასეთი მკაცრი, შავ-თეთრი დაყოფა იმპორტსა და ექსპორტს შორის.

ᲪᲝᲢᲜᲔ ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲫᲔ



ᲠᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 16 აპრილს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ სასამართლო საქმეთა მონიტორინგის პრეზენტაცია გამართა. საია მონიტორინგს უწევდა თბილისისა და ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეებს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დღემდე მონიტორინგის ოთხი ანგარიში წარმოადგინა, რომლებიც, ერთიანობაში, მოიცავდა 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის ივნისის ჩათვლით პერიოდს.

საია აღნიშნულ მონიტორინგს ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების“ პროექტის მეშვეობით. პროექტის მიზანია, სასამართლო სხდომის დარბაზში პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით და მასზე ანგარიშების გამოქვეყნებით, საქართველოს სასამართლოებში სისხლის სამართალწარმოების გამჭვირვალობის გაზრდა. საია-ს ახალი ანგარიში მოიცავს 2013 წლის ივლისიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. როგორც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ ამბობენ, განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, შემდეგი მნიშვნელოვანი ტენდენციები გამოვლინდა:

ცალკეულ საკითხებთან მიმართებით, გაგრძელდა სასამართლოების პრაქტიკის გაუმჯობესების ტენდენცია როგორც გახმაურებულ, ისე ტიპურ შემთხვევებში. მართალია, პროცენტულად გაიზარდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, ვისაც პატიმრობა შეეფარდა, თუმცა, ამის მიუხედავად, მნიშვნელოვნად შემცირდა გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელი აღკვეთის ღონისძიების შესახებ.

მოსამართლეები კვლავ არ იყენებენ თავიანთ დისკრეციას — გაათავისუფლონ ბრალდებულები აღკვეთის ღონისძიების გარეშე ან შეუფარდონ ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება. ნაცვლად ამისა, თითქმის ყველა საქმეში გამოყენებულია პატიმრობა ან გირაო. იყო მხოლოდ სამი გამონაკლისი: 1 — პირადი თავდებობა, 1 — შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, 1 შემთხვევაში კი — ბრალდებული სასამართლომ დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე. ამ სამი შემთხვევიდან, არც ერთი იყო გახმაურებული საქმე.

ჯერ კიდევ დაუსაბუთებელი რჩება პროკურატურის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შესახებ — მეტწილად გირაოს ნაწილში. პოზიტიურ ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სასამართლო ხშირად თავად ცდილობს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის გამოკვლევას. სასამართლო, ჩვეულებრივ, ავტომატურად აღარ აკმაყოფილებს ბრალდების მხარის შუამდგომლობას პატიმრობის შესახებ, შესაბამისად, მისი გადაწყვეტილებები უფრო დასაბუთებული გახდა.

მონიტორინგის მთელი პერიოდის მანძილზე (2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით) პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ წინა სასამართლო განხილვის ეტაპზე შეწყვიტა სისხლის სამართლებრივი დევნა.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, სასამართლოები კვლავ არ აძლევდნენ საზოგადოებას საშუალებას, დასწრებოდნენ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებს.

ამასთან, მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, სასამართლოებმა ვერ შეძლეს, წინასწარ გამოექვეყნებინათ ინფორმაცია პირველი წარდგენის სხდომების შესახებ. ინფორმაცია წინასწარ არ გამოქვეყნებულა აგრეთვე დანარჩენი საქმეების ერთ მეოთხედში. სასამართლოები, როგორც წესი, აკმაყოფილებდნენ პროკურატურის შუამდგომლობას მტკიცებულებების წარდგენის შესახებ. დაცვა, ძირითადად, თავს იკავებდა როგორც საკუთარი მტკიცებულების წარდგენის, ისე ბრალდების მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის მოთხოვნისაგან (თუმცა, დაცვა მეტად აქტიური იყო გახმაურებულ საქმეებში).

ჩხრეკისა და ამოღების შესახებ 38 სხდომიდან, რომელთა მონიტორინგსაც საია ახორციელებდა, მხოლოდ ორ შემთხვევაში გასცა სასამართლომ წინასწარი ნებართვა ჩხრეკის ჩატარების შესახებ. დანარჩენ 36 შემთხვევაში, ჩატარებული ჩხრეკა დაეკანონა სასამართლომ, როგორც გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ღონისძიება. ეს ბადებს ეჭვს, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო არ ასრულებდნენ საკუთარ ვალდებულებას — თუ ჩხრეკა და ამოღება არ ემყარება გადაუდებელ აუცილებლობას, არ უნდა ჩატარდეს, ან/და შემდეგ დაკანონდეს.

საპროცესო შეთანხმების განხილვისას სასამართლო რჩებოდა მხოლოდ პასიურ როლში და ავტომატურად ამტკიცებდა პრაქტიკულად ყველა საპროცესო შეთანხმებას. თუმცა, კიდევ უფრო შემცირდა იმ საპროცესო შეთანხმებების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ჯარიმას აკისრებდა. შემცირდა ჯარიმის საშუალო ოდენობაც. გარდა ამისა, კვლავ პრობლემად რჩება სასამართლო პროცესების დროულად დაწყება. საია-ს მონიტორინგის თანახმად, პროცესზე ხშირად მოსამართლეები აგვიანებდნენ.

ᲪᲝᲢᲜᲔ ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲫᲔ

ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულები

ქართული ენის დღეს მიეძღვნა ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჩატარებული ლიტერატურული კონკურსი. მასში მონაწილეობდნენ როგორც ქუთაისელი პროფესიონალი მწერლები, ასევე ახალგაზრდა ავტორები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ესეი, მოთხრობა, ნოველა, პუბლიცისტური წერილი — ასეთი ჟანრობრივი მიმართულებით, ორი საათის განმავლობაში მუშაობდნენ კონკურსის მონაწილეები, რომელთაც თავიანთი ნაწარმოებები ჟიურისათვის ფსევდონიმებით უნდა წარედგინათ. შეფასება ათბალიანი სისტემით ხდებოდა. ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მწერლები — ავთანდილ ყურაშვილი (თავმჯდომარე), თემურ ამყოლაძე, ელგუჯა თავბერიძე, გიზო თავაძე, ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელი ნიკო კაჭკაჭიშვილი, ჟურნალისტები — ნანული ცხვედიანი და ნინო ძოწენიძე, 20 ავტორის ნაწარმოები განიხილა.

პირველი ადგილი ქულათა მაქსიმალური რაოდენობის საფუძველზე მწერალ **ცირა ყურაშვილს** მიენიჭა; მეორე ადგილზე მწერალი **გია ხოფერია** და ჟურნალისტი **ლელა თოლორდავა** გავიდნენ, მესამეზე — მწერალი **ბელა უჩაძე**. ნომინაციაში — „ორიგინალური ნაშრომი" ჟურნალისტმა ნათია ჩუბინიძემ გაიმარჯვა, ხოლო „კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის" ნომინაციაში — აფხაზეთის მეექვსე საჯარო სკოლის მოსწავლემ მარიამ კურტანიძემ.

სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა ნარგიზ ჩოგოვაძემ და ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელმა შოთა მურღულიამ გამარჯვებულ ავტორებს დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს. კონკურსის ყველა მონაწილე სამახსოვრო სიგელებით დაჯილდოვდა.

გაზეთი „P.S." გთავაზობთ გამარჯვებულ ნაწარმოებებს.

განსაცხრომელი ადგილი

ცირა ყურაშვილი

არ ვიცი, რამდენი წლის ვარ, იქნებ ნორჩი, იქნებ ხანდაზმული, მაგრამ ჩემი ცხოვრების მანძილზე არასოდეს მიგრძვნია მშობლიური ენის მიმართ ის, რასაც ამ ბოლო წლებში ვგრძნობ — ტკივილი ენის გამოფიტვის გამო. რევმატიზმივით იცის ჩაფრენა ამ ტკივილმა — ჩაგაფრინდება და გღრღნის. მთელ სხეულს მოიარს და სანამ თავს არ ამოიჭამს, არ მოგეშვება. იფიტება, ცარიელდება, ღარიბდება მშობლიური ენა და ქარიშხლიანი პერიოდებიდან აპოკალიფსურ ხანაში შედის. როდის იყო, ჩვენს ენას ულხინდა, მაგრამ ასეთი შეტევა — ყოველი მხრიდან, ალბათ, არ ახსოვს ჩვენი ენის ისტორიას. უტევს ყველა და ყველაფერი: პოეტი თუ არაპოეტი, პარლამენტარი, თუ ჟურნალისტი. უტევს მისივე ქვედინებები: სკაბრეზი, ჟარგონი, ბარბარიზმი და ნაცვლად ენის ბუნების გამდიდრებისა, წალეკვით ემუქრება მას. ემუქრება ყველაფერი, რაც დროის აჩქარებული სულით აღბეჭდილა, რაც მოსწრებაზე, მიკუთვნებაზეა. აჰა, და მოასწროს წაჰგლიჯოს ენას ეგერ-აგერ რაღაც და ასე დანაკუწებული მიართვას მომხმარებელს. დიახ, ჩვენ მომხმარებლები ვართ, რომლებიც გაუაზრებლად ვიტაცებთ ამ ნაკუწებს და გვავიწყდება, რომ ის ჩვენი ჩვილობის საფენია, რომელშიც ვეხვიეთ, სრულწლოვნობისას შესამოსელი კვართია, დროშაა სიცოცხლის, ერთადერთობის და ერთიანობის ნიშნად აღმართული.

ამას წინათ, მგზავრობისას, ძველი ქართული სიტყვების ლექსიკონი ამომივარდა. სადაც მივდივარ-მოვდივარ, თან დამაქვს. რა ვთქვა? მხარი რომ გაგიუქმდება, პარალიზებული რომ გაქვს ცალი მხარე, ისეთი განცდა მაქვს. არადა, რა კარგი გრძნობაა, გადაშლი — თვალს გააყოლებ და ტკბები: ვთქვათ სიტყვა „ბუდნა". ეს სიტყვა ხომ დათესვას ნიშნავს, მაგრამ სულ სხვაგვარ დათესვას, — პატარა ორმოებს რომ გაუმზადებ დასათეს, ვთქვათ, კარტოფილს, დაჭრი, ჩაყრი, მიწას შემოუბუდნი, მერე ზემოდან გადაითვლი და კმაყოფილი იტყვი: ამდენი და ამდენი ბუდნაა:) ასეთი გამომსახველი, ასეთი მრავალმნიშვნელიანი სიტყვები როგორ თანდათან შორეულდებიან ჩვენგან. როგორ იკარგებიან ათობით და ასობით. ერთ-ერთ ფოლიანტში ათობით (იქნებ ასიც) გვარი დავითვალე, რომლებიც აღარ არსებობს. არსად მომიკრავს ყური, ულამაზესი ქართული გვარები, ერთი — სახასიათო გვარი ახლაც მახსოვს — გოჭიკუდაშვილი. ადგილთა სახელწოდებები, ულამაზესები, პოეტურები: დედაღვთისას შევაკება, მარიამწყარო... სახასიათოები: შავღელა, საირხვე (იხვების ღელე), წეწიების უბანი (მოჩხუბართა უბანი), პეტრიეს ხარის ნაჭერი (მიწის მცირე ნაკვეთი).

ვინ საოცარი ხალხი იყო ეს ჩვენი წინაპრები, რა სულიდან ამოჰქონდა ასეთი გამომსახველი სახელები, როგორ ამდიდრებდა და ალამაზებდა ენას?! დღეს რა დაგვემართა, რა ბინდმა გადაგვიარა ტვინზე, რამ შეგვიკრა ხელები, იმას მაინც ვეცადოთ, შევინარჩუნოთ, რაც გვაქვს, ზედმეტად აღარ დავანაგვიანოთ. წყალს არ გვთხოვს და პურს, მაინც არაფრის გამმეტებლები ვართ ჩვენი ენისთვის.

ამას წინათ ერთმა ახალგაზრდა ნეოლიბერალმა მწერალმა მეორე მწერლის რომანიდან ბილწი ადგილი წაიკითხა. კითხვა პარლამენტის სხდომათა დარბაზში თვითნებურად მოაწყო. კითხულობდა შთაგონებით, ერთგვარი მოწიწებით და საკმაო ღირსების გრძნობით. თუ გეღიმება — გაიღიმებ, მაგრამ მშობლიური ენა მართლა დროშა ხომ არ არის — ბილწი ბაგით შეეხო, ტანზე შემოიხვიო, ან თითზე დაიხვიო. მშობლიური ენა ქვაკუთხედია. კუთხის ლოდია, და ვაი, მას, ვისაც დაეცემა, შემუსვრა, განქრევა არ ასცდება. ამ ლოდს ჩვენს მოკლე ისტორიულ წარსულში პროლეტკულტმა წამოჰკრა ფეხი და დავიწყების მორევში გადაიჩეხა. ის ყველას შემუსრავს, ვინც მის სიდიადეს ბილწი ბაგით წაეპოტინება, უხამს მზერას მიმართავს.

ჩვენი ენა ბინძურდება კატასტროფულად, ტყუილი იმედია, ამას არაფერი ეშველება — როგორც გარემომცველი ბუნება, სამყარო, ყველაფერი შედის აპოკალიფსურ ხანაში. მაგრამ, როცა ჟანგბადი გაკლია, სტოვებ ერთფეროვან გარემოს და ბუნებას შეემყუდროვები. ჩვენი ენაც ასეთი შესამყუდროებელი ადგილია. იქ ბუნება სავსეა ჟანგბადით და რა დაშავდება, თუ ვიტყვი, რომ მშობლიური ენა ჩემი განსაცხრომელი ადგილია?!

ცირა ყურაშვილი
(I ადგილი)

ჩემი მეორე – მზეა



გია ხოფერია

— გამგჯარხარ, გადღლეზიხარ, მეტი არ ჩაოხრებულხარ, შენ მომინელე და მომსპე, ერთხელ მაინც დახუჭე თვალი და მეისვენე, ამისთანა ოხრის ტილი რა გამიჩნდი, რაც შემიძლია გიმღერი და გიმღერი ივნანას ქართულ ენაზე, ივნანუმ, ვარდონანუმ, გიმღერი და გიმღერი! მეტი არც ხმა მაქვს და არც ძალა, გამიშრა ყელი.

ძალიან ეშმაკურად აყვლიპინებდა თვალებს დასავაჟკაცებელი ბალღი, თავისუფლება ჰქონდა შეზღუდული ნივთიერი გესტაპოსგან, არტახებს რომ ვეძახით, სწორედ იმათგან, თორემ უფრო მეტად გამოავლენდა დედის მიმართ ახვანცალებით პროტესტს.

ფიქრით კი არც თუ მხიარულად ფიქრობდა:

„მაგი რომ ქართულია, მოგრჩება ნახევარი! გასადღლეზი და გასასკდომი უნდა მიწოდო აკვანში ჩაგვრიტებულ პირმშოს?! მე ვარ ოხრის ტილი?! ყველაფერს ვიმახსოვრებ, ყველაფერი იწერება ამ პატარა თავში და რომ წამოვიზრდები, განახებ სეირს!"

— ა, კიდო, რა გატირებს, ბიჭო, შენ გადაგიშენდა გამკეთებელი! შენი ჩასახვის გულობიზა კინაღამ სული გამაცხებია მამაშენმა!

„ძალიან არაეთიკური ხარ, დედიკო! ასე უნდა ელაპარაკო უთინთილოს? მაგასაც ვიმახსოვრებ, მაგიც იწერება ჩემს მაგნიტოფონში, ავადმყოფი ძროხის რძეს რომ მასმევ, არ მაკმარე და მეუწმაწურები კიდეც?კარგი სიტყვა გლახად ნათქვამი წამლავს და შხამავს ორგანიზმს და შენი როყიოობა როგორი მოსანებელი-მოსარჩენია."

(იქნებ ფიქრობს რომელიმე, თუნდაც გამოცდილი დედა, რომ აკვნის ბავშვის ტვინი, დღევანდელი უცხვირპირო გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, ჩემგან ზეწოლას განიცდის. არაა ეს ასე გამოცდილო! შეცვალე ფიქრი)

ბავშვი კიდევ უფრო მიეძალა თავის გაკრიალებულ გონებას და ერთხელაც უხმოდ მიაძახა დედას:

„დედიკო, ცოტა ხნით მზე შემოუშვი ჩემს გულში! კარგი და თბილი სიტყვებია მზე."

აკვანს რომ დაცილდა, გაბაკუნდა, გააცოცხლა და გაანათა სახლი, მოფერებით კი ეფერებოდნენ აქა-იქ, ზოგჯერ, ვითომ-ვითომ, მაგრამ მამა რომ მობრძანდებოდა საღამოობით გალეშილი და ზარბაზანივით იცლებოდა, დედა ორმაგ ზარბაზნად გადაიქცეოდა და ლოგინის ქვეშ შემძვრალს ესმოდა:

მამა — შენი მკვდარი და ცოცხალი, შენი გამომცემელი, დედა, მამა, ჯიში, მახინჯო, დაფეხვილო!

დედა — ნაგვის კასრო, მყრალო ლოთო, ამ ღამესვე დაგადობიებ მაგ მაიმუნის თავს ჯრიკზე და დაგჩეხავ. ვინც შენთან დაწვეს აწი, მართლა გოუწყდეს პატრონი, ერთი ბოვში გაგიჟღინტე და მეტს ვერ ეღირსები!

ბავშვი კანკალებს საწოლის ქვეშ. კარგახანს კანკალებს და აღვარღვალებს ცრემლებს. ზარბაზნები არადა არ დუმდებიან, არ ელევათ მწარე ქართული...

მხოლოდ ერთხელ მიეალერსა მეზობელი: რა კარგი თვალები აქვს ამ ბაღანას! გულიც თბილი ექნება, მაგრამ ამათ ხელში, ამათ ყოველდღიურ წყევლა-გინებასა და ოხრობაში ვინ გაძლებს?!

წლების შემდეგ:

— შენ ძმაო, ჩემი დედა... მაგრად მიქარავ! ან მომიტან მაყუთს, ან „ბოზის შვილი ვიყო, დაგჩეხავ, ჩემთან დვიჟენიები არ შეგეშალოს!..

არავის ზოგავდა, არც მას ზოგავდნენ...

მარტო რომ რჩებოდა, ადრინდელი ბავშვურობით არა, მაგრამ გულაჩუყებით მაინც ტიროდა. სრულად რომ ჩამოეცრემლებოდა ლოყები, სარკესთან დადგებოდა, ხელებს აღაპყრობდა და იმას, სარკის იქით რომ ჩანდა, სლუკუნით ეუბნებოდა:

— შენ ვიცი, სუფთა რომ ხარ, ყოველთვის მენატრები, ყოველთვის მინდა შენთან ვიყო, მაგრამ რა ვქნა, რაც დედაჩემიდან გამოსხლტი, ამ დასაქცევ სახლში, მის მერე ერთი მშობლისგანაც და მეორესგანაც ჭუჭყისა და ტალახის მეტი არაფერი წამოსულა ჩემსკენ. მათი ყოველი სიტყვა, ყოველი ლანძღვა-თითხვნა სხეულზე მაქვს შემოხვეული და მჭამს, მღრღნის, გველივით მიძვრება გულსა და გონებაში. მაგნიტივით მიმიკრა იმათმა ლექსიკონმა, გამათახსირა. მეც დამიჟანგა ენა.

მოფერებასა და სითბოს, ალბათ, სულ სხვა სიტყვები მოჰყვება. ბალღობაშიც არ განვიცდიდი ამგვარი სიტყვების მზეს და მიტომ ვარ ჩაბნელებული. ქუჩაშიც, სადაც არც თუ ცოტაა ჩემისთანები, უფრო დავიჟანგე.

შენ ხარ ჩემი მეორე სიცოცხლე, ნუ გიკვირს, შენ მართლა ცოცხალი ხარ, ა, ხომ ხედავ, ხელითაც გეხები, ჩემს ხელისგულზე მაქვს მოდებული შენი ხელისგული. შენ ისეთი ქართული იცი, ცეცხლს რომ მოუკიდებს ადამიანს, თავის თავსაც შეაყვარებს და სხვისასაც. შენი ქართული ლორწოდ კი არ გაიშარდება მიწაზე, არამედ, ნებიერ თესლს ამოიყვანს, უფსკრულის პირას მდგარს შემოაბრუნებ. შენ ჩიტების, ყვავილების, წყლის, ჰაერის ქართული იცი, შენ მზე ხარ, უკვდავი მზე, ჩემისთანა წამხდარსაც რომ ჩაუგულიანდები და გადაშლის მის შავხავსიანობას.

შენ კიდევ რა ხარ, იცი?

აუ, მართლა ბევრი რაიმე ხარ, რომელიც არასოდეს გამოილევა.

შორიდან ზარის ხმა მოისმა, ერთ ხმას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე. აზარდა იქაურობა.

— მე აწი არასდროს გამოვჩნდები! — თქვა სარკის წინ მდგარმა.

— ძალიანაც რომ მოინდომო, ამას ვერ იზამ! — სარკის შიგნით მდგარმა თქვა.

— მე შენ გინახავდი!

— კარგადაც მოიქეცი, თუმცა, უშენოდაც ვიქნებოდი შენახული.

— აბა, ჰე!

— გამოვიდე?

— გამოდი, ჩემამდეც აღწევს ზარების ხმა...

მზე მართლაც უშურველად ანათებდა იმ დღეს, მაგრამ განსაკუთრებით ქალაქის ბულვარს ეფინებოდა თვალისმომჭრელი სინათლე.

ისხდნენ დედები, მამები, ძმები, მეგობრები, შეყვარებულები, გუშინდელი დაუბრებულები, მეზობლები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები... ისხდნენ და ერთმანეთს აოცებდნენ თავიანთი მეორე მზეთი.

გია ხოფერია
(II ადგილი)

ფემბე

ლელა თოლორდავა

ჩვენი შეხვედრის შანსი ნოლის ტოლი იქნებოდა, თხოვნაზე უარი რომ მეთქვა ჩვენი თურქი მასპინძლისათვის...

ახლა კი, კურორტ „ოილატში“, სასტუმროში, 313 ნომერ ოთახში დაბინავებულ მე და ჩემს გოგონას დილაუთენია მოლას ლოცვის ხმა თუ გვაღვიძებს, სულაც არ ვბრაზდებით...

გოგირდის აბანოში მიმავალთ, პირველი შავებში ჩაცმული ქალბატონი გვხვდება და ზღურბლზე გადაბიჯების საშველს მანამდე არ გვაძლევს, ვიდრე მასთან ერთად ჩაის არ მივირთმევთ...

ძველი ქართულით მოსაუბრე ქალბატონი, 85 წლის ფემბე გახლავთ. გასული საუკუნის დასაწყისში გადასახლებულა მისი მშობლები „გურჯისტანიდან“ „ოილატში“... „ლაპარიკი ვიცი, წიგნი არაო“ — მითხრა...

ერთი კვირის განმავლობაში დავმეგობრდით მე და „ფემბე ქალბატონი“, მეც „ქალბატონობით“ მომმართავდა...

შვიდი დღეა, ვყვები საქართველოს ისტორიას, ძველს თუ ახალს... შვიდი დღეა, ვსვამ ზომაზე მეტ თურქულ ჩაის და ვგრძნობ, რომ კოფეინით თრობამდე ცოტაღა მიკლია... შვიდი დღეა, ჩემი ანცი ქალიშვილი ფემბეს ზურგს უკან იმალება და წასვლას მანიშნებს...

ფემბე კი ბრუნდება წარსულში და მიყვება ამბებს, გურჯისტანის მონატრებაში დამუნჯებული ნენეის ამბებს... სიკვდილის წინ სიზმრად ნანახ გურჯისტანზე და ხის კოვზზე, ბათომიდან რომ წამოიღო საქართველოს მოსაგონრად...

„ლამაზი ლაპარაკობა იციო,“ — შემაქო... წიგნები მომიყევიო... მეც წავუკითხე ლექსები, რაც კი მახსოვდა ყველა... ტიროდა ფემბე და თავსაფრის კუთხით იწმენდდა ცრემლებს...

მერე ხალათის ჯიბიდან ფოტოსურათი ამოიღო, მომაწოდა და მითხრა –„ჩემი სახელი დამიწერეო ქართულად“...

დავხედე ახალგაზრდა ფემბეს სურათს და შავ-თეთრ ფოტოშიც კი დავინახე მისი ზღვისფერი თვალები, საოცრად მეტყველი და სევდიანი... ფოტო გადმოვაბრუნე და ადმინისტრატორის ნანათხოვარი კალმით, ლამაზი ქართული ასოებით დავწერე „ფემბე“...

გულში ჩაიკრა ფემბემ ფოტო და მითხრა — „სუდარის ჯიბეში უნდა ჩავიდო ეს სურათი, ჩემი ქმარი ვერ მიცნობს ამფერსო“... „ჩემ წინაპრებს ვაჩვენებ შენს დაწერილ ჩემს სახელსო“...

ფემბეს ამ ნათქვამზე მაშინ გამეღიმა, ახლა კი, წლების მერე, როცა ვიცი, რომ ფემბე გარდაცვლილია, სევდიან მოგონებად მექცა ეს ამბავი...

ჩემი დაწერილი „ფემბე“ ახლა თურქეთის მიწაში იშლება, ალბათ...

ჩემი ფემბე...

ჩემი დაწერილი „ფემბე“...

ლელა თოლორდავა
(II ადგილი)

ქართული ენა

ბელა უჩაძე

ჩემი მარტოობა ბაბილონში დაიწყო. სამყარო მაშინ ახალგაზრდა იყო. შენ და სამყარო თანატოლები ხართ. Ab ovo! „პირველად იყო სიტყვა...“ ის სიტყვა შენ იყავი, სიტყვა-ღმერთი და როცა აღარ ისმოდი, ჩემი მარტოობაც დაიწყო ბაბილონში.

ფოთოლცვენისას შემოდგომისფერთვალებიანი პატრიარქის აღალს დავემგზავრე, დასალიერისკენ მივიწევდით ორი მდინარის შუა, შორს მთების სამკუთხედები ტყდებოდნენ და მზეც ცხრებოდა ჩვენს თავზე. აქლემების ზანზალაკები ამოვაქოლინე და სიჩუმის გამეფებაზე დავიწყე ოცნება, იმ სიჩუმის გამეფებაზე, რომლის წიაღში ოდესმე, ალბათ, გაგიგონებდი შენ. ერთ დღეს, უნაგირზე ჩაძინებულს, მესიზმრა ჩემი თიხის ფირფიტების საცავის აღმოსავლეთი კედელი სახურავის ქვებს დაეტანა და თიხის ფირფიტები ყვითელ მტვრად და ფერფლად ქცეულიყო. დავდიოდი ამ ფერფლში. სიზმარში ძალზე უბედური ვიყავი, ქვის ჩამოქცეულ სახურავიდან მოჯარულ მთებს ვხედავდი და შველას ვთხოვდი. მთები ახლოს მოსულიყვნენ და გაგიგონე „შენ“ — პირველყოფილი დილა, მზე სმენიდან სისხლში შეტანა არ დამცალდა — გავიღვიძე.

მეორე დილით ცასშეეტყო, შემოდგომას სასიკვდილოდ უთქვამდა გული. როცა დელტადან გავედით და ზღვას გვერდი ვუქციეთ, ქარავანს გამოვეყევი, მზის ბოლო სხივებს გავეკიდე და თორმეტი დღე-ღამის მერე თეთრმწვანე მთების გადაღმა გაშენებული პატარა ქვისფერი ქალაქის გალავანთან მივედი. გასავათებული და ბედნიერი სისხლით ვგრძნობდი მოახლოებას. ცხენები გავუშვი, მონები გავათავისუფლე და ყველაფერი, რაც მებადა, გალავანთან მოსეულ მათხოვრებს დავურიგე. ისინი ყველა სულიერზე მეტად მეყვარებიან არსებობის ყველა შესაძლო განსხეულებაში, უსასრულო კოსმოსების ყველა განმეორებაში, მაშინაც კი, როცა შენ ისევ აღარ მეხსომები (ვაითუ, ეს მოხდეს!). მეყვარება ეს ბინძური, ჩამოფლეთილი ბრბო. არ მეცოდინება, თუ რატომ... ეს სხვაგან, სხვათა ზეობის ჟამს...

მათ მომცეს „შენ“. იმ ღამით, მათი მადლობის სიტყვები „შენ“ იყავი, ღმერთი, ხმა... იმ ღამით ბედნიერმა დავიძინე მათ გვერდით ქვებზე და ჩემი სიზმარი პირველად, ათასი წლის მანძილზე, ხმიანი იყო, ხმამ დაივანა სისხლში — „შენ“. მე მივხვდი, შემეძლო უხმო თიხისთვის შენი სულის შთაბერვა, თიხაზე შენი დატევა, მივხვდი ამ ღამიდან მოყოლებული თიხის ფირფიტების ყველა საცავი ერთიმეორის მიყოლებით დაიქცეოდა ჩემს სიზმრებში. იმ ღამის შემდეგ აქ ვარ და გისმენ უსასრულობის თეთრი და შავი საუკუნეების მონაცვლეობაში შენ სულ ხარ და მარადიულად ჰგიებ. რამდენიმე საუკუნეა, გადავწყვიტე, აღარ ვიყო და ჩემი ურიცხვი სიზმრების უსასრულობა მას დავუტოვო, ვინც სისხლით გიგრძნობს ჩემს სიზმრედში შენზე დარდი, მონატრება და შიში დევს, ჩემი მარტოობა ბაბილონში დაიწყო, როცა არ მყავდი. ახლა მის ხმაში მიცანი, ამ ქვისფერ ქალაქში რომ ივსება „შენით“, სისხლში რომ გისახლებს და მაინც რომ გეძებს მწუხრის უსასრულობაში.

ბელა უჩაძე
(III ადგილი)

ქუდია თუ ბოხოხია?!

ნათია ჩუბინიძე

22-ე საუკუნე... მუზეუმის სხვენი, გაზაფხულია, მზემ სხივი შეანათა სხვენის ბოლო თაროზე, მტვრის ნაწილაკების მოძრაობა და ორი ქუდი შესამჩნევი გახადა.

მზემ და აპრილმა დაცრეცილ ქუდებს თვალი აახელინა და აალაპარაკა:

კეპი — გღვიძავს?

ბოხოხი — დიახ!

კეპი — რა კარგი ამინდია. კი გავიდოდა კაცი სასეირნოდ, ან სადმე აქციაზე.

ბოხოხი — ახლა ვინ დაგვიხურავს, ეს მაშინ იყო საუკუნის წინ...

საუკუნის წინ... 21-ე საუკუნე... აქციაზე. შემდეგი ფრაზების კორიანტელი, გადადექი, გადადექი, ვითხოვთ, დემოკრატიულად ჩატარდეს არჩევნები. მასაში ორი ახალგაზრდა დროშას აფრიალებს, გულზე ხელს იბრახუნებს, სამშობლო, ევროპა, ამერიკა, ნატო, თავისუფლება, წარსული, აწმყო... გუგუნებს მასა, ტაშის გრიალი, გამხეცებული კივილი. დროშის მოფრიალე გვერდიგვერდ მდგომი ახალგაზრდებიდან ერთს კეპი ახურავს, მეორე ბოხოხით უმტკიცებს ერს პატრიოტობას და იწყება ქუდებს შორის პირველი დიალოგიც:

ბოხოხი — ეს ხალხი სხვა ენაზე ლაპარაკობს, ამიტომაცაა პრობლემა, ამიტომაც არ ესმით ერთმანეთის.

კეპი — ცნობიერებებს ენა ვერაფერს უშველის.

ბოხოხი — რა ჯანდაბაა ამდენი უცენზურო სიტყვები?

კეპი — იმ უცენზურო სიტყვებს ტაში დაუკრა მასამ, ვერ ხედავ?!

ბოხოხი — თუ არ შეიგინე, კაცი არა ხარ?!

კეპი — ვინ ხართ, თქვენ, ქართველები? რას მანიპულირებთ ამ წარსულით, რა ისტორია გაქვთ ასეთი? ან ეს რა არის „ენა, მამული, სარწმუნოება.“ მითხარი ერთი, თუ ასე მნიშვნელოვანია ეს სიტყვები თქვენთვის, რით ვერ გაითავისეთ აქამდე? სულ ამას როგორ ახსენებთ ერთმანეთს.

ბოხოხი — თუ შენ წარსული არ გაქვს, არც მომავალი გექნება. ჩვენი წარსული ღირსება, გმირობა, თავდადება, პატრიოტიზმი, თავისუფლება და პატივისცემაა... ენა ერებს აყალიბებს? ბრიყვი ხარ შენ და არაფერი გესმის...

კეპი — ბრიყვები თქვენ ხართ, ლოზუნგებსაც ჟარგონებად წერთ. სათქმელს ქართულად არ ამბობთ და მერე იძახით, ერთმანეთის აღარ გვესმისო. სილას ისე გააწნით ერთმანეთს, თქვენი ქრისტიანობა სულ აღარ გახსოვთ. „მამულს“ შემოფლეთილი ტერიტორიებად გაჰკივით.

ბოხოხი — გისმენ და ვეღარ ვხვდები, რა ჯანდაბა დაგვემართა. ყველა თავის ენაზე ამბობს სათქმელს, ან იქნებ, სათქმელიც აღარ დაგვრჩა. მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მიგვიყვანა ამ სიბრიყვემდე.

კეპი — 21-ე საუკუნეა, ერები „სმს“-ებით ესაუბრება ერთმანეთს, „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“ — თქვენ არ იძახდით?

ბოხოხი — შენისთანა ცნობიერებებით არყევენ დაწყობილ საზოგადოებებს. გარყვნილება და ამპარტავნობა აღარ გვალაპარაკებს ქართულად. აღერილი ტვინები ქმნიან უპერსპექტივო მომავალს. ყველაფერზე პირდაღებულ ადამიანებს უცივდებათ სწორედ სამეტყველო ორგანოები. კბილებს ენაზე რომ აღარ აჭერენ, ეს არის პრობლემა.

კეპი — ამის რომ აღარავის ეშინია და რცხვენია, ეს გაწუხებს, შენისთანა ორი კაცი რომ ფიქრობს ასე, ამან გაგაბოროტა, მეტყველების უნარი დაგაკარგვინა და ვეღარ ლაპარაკობ დალაგებულად, ბოხოხო...

ბოხოხი — გავა დრო და ჩვენ ისევ გავმართავთ დიალოგს და მაშინ ორთავე შევთანხმდებით ერთ რამეზე: ენა ერებს აყალიბებს, სულერთი არ არის ერთ ენაზე, ქართულად ლაპარაკი გადარჩენისთვის.

კეპი — ok...

გავიდა დრო... 22-ე საუკუნე... მუზეუმის სხვენზე, ქუდია თუ ბოხოხია?..

კეპი — გახსოვს, საუკუნის წინ რას იძახდი?

ბოხოხი — გაიხედე გარეთ, ადამიანები რა მშვიდად მოძრაობენ ქუჩებში, აღარც აქციებია, აღარც გზებია გადაკეტილი.

კეპი — ჟესტების ენაში სათქმელი ბევრი არაფერია.

ბოხოხი — იმ პატარა ბიჭს გახედე, ქართველია... გადავრჩით, ყური უგდე ლექსის სათქმელად ემზადება, რა ვაჟკაცურად დგას, „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ...“

კეპი — „ნამასტე...“

ბოხოხი — „ნამასტე...“

ნათია ჩუბინიძე
(ნომინაცია „ორიგინალური ნაშრომი“)

ვის ეკუთვნის ქართული მედია?

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს" 2014 წლის ანგარიში

არც ერთ მსხვილ ქართულ მედიასაშუალებას დღევანდელი მონაცემებით აქტიური პოლიტიკური სუბიექტები არ ფლობენ, არ აფინანსებენ და არ აკონტროლებენ. მედია აქტივებს საქართველოში ძირითადად მსხვილი ბიზნესმენები ფლობენ, — ეს იმ კვლევის შედეგია, რომლის ანგარიშიც — „ვის ეკუთვნის ქართული მედია" „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ" 16 აპრილს წარადგინა.

კვლევა მედიასაშუალებების მფლობელებისა და მათი სხვა ბიზნეს ინტერესების გამოსავლენად ჩატარდა და მასში მედიაკომპანიებთან დაკავშირებული მთელი საჯარო ინფორმაციაა გაერთიანებული.

ანგარიში შეიცავს ინფორმაციას შემდეგ მედიასაშუალებებზე: ტელეკომპანიები — „რუსთავი 2", „იმედი", GDS, „მაესტრო", „კავკასია", „მზე", „პირველი სტერეო", „პირველი რადიო", „02", GMG, „ტაბულა", TV 11, „ობიექტივი", „ევრიკა", Music Box და „იბერია"; თანამგზავრული ტელემაუწყებლობის ოპერატორი — Black Sea Sat; „პალიტრა მედია" და რადიო „საქართველო"; გაზეთები — „ასავალ-დასავალი", „ალია", „კვირის ქრონიკა", „რეზონანსი", „ბათუმელები" Netgazeti.ge, Prime Time News და „პირველი" ჟურნალი „ლიბერალი".

ანგარიშის მიხედვით, კვლევაში მონაწილე მედიასაშუალებების უმეტესობის მფლობელობა გამჭვირვალეა. ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული მფლობელები მხოლოდ ორ მედიასაშუალებას: „ტაბულასა" და გაზეთ „პრაიმ ტაიმს" ჰყავს. ხოლო მსხვილ ბიზნესმენებს ეკუთვნის ტელეკომპანია „რუსთავი 2", „იმედი", GDS, ტელეკომპანია „იბერია" და „ტაბულა". მათი მფლობელები მედიასაშუალების გარდა წილებს სხვა მსხვილ ბიზნესშიც ფლობენ.

კვლევის შედეგებით, არ არსებობს ბაზრის კონცენტრაციის საშიშროებაც. პრაქტიკულად არც ერთი მსხვილი მედიაჯგუფი არ ფლობს ერთდროულად რამდენიმე მედია აქტივს სხვადასხვა სექტორში. ამ მხრივ გამონაკლისია ჰოლდინგი „კვირის პალიტრა", რომლის საქმიანობაც ბეჭდურ, საგამომცემლო, ონლაინ, რადიო და სატელევიზიო სექტორებს მოიცავს. რაც შეეხება სხვა მედიასაშუალებებს — „რუსთავი 2" ამუშავებს „კომედი ტვ"-ს, „იმედი" და „მაესტრო" ფლობს რადიოსადგურებს და რადიო ჰოლდინგი „რადიო საქართველო" აერთიანებს 4 არხს: „არ დაიდარდო", „ფორტუნა", „ფორტუნა I" და „ავტორადიო". მათვე ეკუთვნის Music Box.

ეს ანგარიში „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ" USAID-სა და IREX-ის მხარდაჭერით მოამზადა. ახლო მომავალში ორგანიზაცია კიდევ ერთ აგნარიშს გამოაქვეყნებს, რომელიც ადგილობრივი მედიასაშუალებების მფლობელობას, მათ როლსა და დაფინანსებას შეეხება.

ჭიათურის თეატრი მაყურებელს იბრუნებს

120-ე სეზონი ჭიათურის თეატრმა „ლამბალო და ყაშათი" დაიწყო. ეს ის სპექტაკლია, რომელმაც აჩვენა ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის, მამუკა ცერცვაძის, ენთუზიაზმი და პოტენციალი. აღნიშნულმა სპექტაკლმა არამარტო ჭიათურელი მაყურებელი მოიყვანა აღტაცებაში, არამედ თბილისელებიც (მხედველობაში მაქვს მარჯანიშვილისთეატრში გასტროლი).

„ლამბალო და ყაშას" შემდეგ „თოვლის დედოფალი" დაიდგა. სამთვიანი რეპეტიციების დასრულებისას ჭიათურელი მაყურებელი გამაოგნებელი რეალობის წინაშე დადგა. თეატრის ადმინისტრაციამ, დაახლოებით, 2500-ლარიანი დაფინანსებით დეკორაციების შექმნა მოახერხა. პრემიერამ, რომელიც ნოვაციური ეფექტებით იყო გაჯერებული, სავსე დარბაზი რამდენჯერმე ფეხზე დააყენა და სპექტაკლის დასრულების შემდეგ მაყურებელი უწყვეტად 15 წუთის განმავლობაში უკრავდა ტაშს.

„მხატვრობა ნანა ყორანაშვილს ეკუთვნის, კოსტიუმები კი — ლელა ფერაძეს, რეჟისურა ჩემია. ამ წელში კიდევ სამი პრემიერის ჩვენებას ვაპირებთ ჩვენი მაყურებლისთვის, ვფიქრობთ, რომ გასტროლები მოვაწყოთ ზესტაფონში, ბათუმსა და ქუთაისშიც," — აღნიშნა თეატრის სამხატვრო ხელმძღანელმა მამუკა ცერცვაძემ.

„იქიდან გამომდინარე, რომ სპექტაკლი ზღაპარია და თან კარგად დადგმული, დარბაზში ყველა ადამიანი გავბავშვდით, ასაკობრივი ზღვარი ყველასთვის წაიშალა და დავბრუნდით ლამაზ ასაკში. ეს ისეთი სპექტაკლია, რომ ყველა ჭიათურელმა ბავშვმა უნდა ნახოს," — აღნიშნა ჭიათურის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მალხაზ წერეთელმა, რომელიც შვილთან ერთად ესწრებოდა წარმოდგენას.

ჭიათურის გამგებელის, სულხან მახათაძის თქმით, გამგეობა მაქსიმალურად ეცდება, ყველა ბავშვისათვის ხელმისაწვდომი იყოს ეს შესანიშნავი სპექტაკლი.

მაყურებელი მსახიობებს და თეატრის ხელმძღვანელობას ემოციებით ულოცავდა.

როლანდ ხოჯანაშვილი
psnews.ge

სკოლის დღიური

მე-3 სკოლიდან გაგზავნილი ტიტები ლეიკემიით დაავადებული პატარებისთვის

„ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები" — ასე ერქვა ღონისძიებას, რომელიც ქუთაისის მე-3 საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეებმა გამართეს.

ღონისძიება ლეიკემიით დაავადებული პატარების თანადგომის და დახმარების მიზნით გაიმართა.

მესამე სკოლის აღსაზრდელებმა ღონისძიებაზე სხეულის აგებულების შესახებ ისაუბრეს, ისაუბრეს იმაზე, რომ ყველა დაავადება განკურნებადია, მთავარია, სურვილი და ერთმანეთის თანადგომა.

ღონისძიების ორგანიზატორი პატარების დამრიგებელი, ბუნებისმეტყველების პედაგოგი, ქალბატონი ნინო გუბელაძეა, რომელმაც ღონისძიების შესახებ მოჭარბებული ემოციებით, ცრემლნარევი ხმით ისაუბრა.

„გვინდოდა, ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა იმ პატარების ცხოვრებაში, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ თანადგომა, გამხნევება. წარმოიდგინეთ, რამდენი დედა და პატარა დგას ფანჯარასთან, გაჰყურებს გზას, საიდანაც ნუგეშს და თანადგომას ელის. გვინდოდა, ჩვენი სათქმელი გამოგვეხატა მათ მიმართ და გვეთქვა, რომ ყველა დაავადება დამარცხებადია, როდესაც სისხლის უჯრედებს თეთრი ბურთულები ერევა, ჩნდება ეს დაავადება. ჩვენს ღონისძიებასაც სახელი „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები" სიმბოლურად დავარქვით. დარწმუნებულები ვართ, რომ ამ პატარების სისხლი მალე გააწითლებს თეთრ ბურთულებს და ისინი ლაღი და ბედნიერები იქნებიან."

ღონისძიების ბოლოს პატარებმა ზღაპრების კრებულები შეიძინეს, საკუთარი ხელებით მოხატეს და ლეიკემიით დაავადებულ მათ თანატოლებს საჩუქრად გაუგზავნეს, გზავნილით „გახდი ჩემი მეობარი!"

პატარები და მათთან ერთად მათი პედაგოგიც საფუძვლიან იმედს იტოვებენ, რომ გზავნილი მეგობრობის შეთავაზების შესახებ, მომავალში ამ პატარებს მართლაც დაამეგობრებს.

ეკა შალამბერიძე

სკოლის დღიური

ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა ქუთაისის №38 საჯარო სკოლაში

„გადაარჩინე სიცოცხლე" — ამ ლოზუნგით გაიმართა ქუთაისის №38 საჯარო სკოლაში ჯანსაღი ცხოვრების წესისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

სკოლის მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებმა თანატოლებისგან შემდგარ აუდიტორიას წარუდგინეს პრეზენტაცია ბიონარკოტიკებზე, მიაწოდეს ინფორმაცია წამალდამოკიდებულების, თამბაქოს მოხმარების და სხვა მავნე ჩვევების ორგანიზმზე უარყოფითი გავლენის შესახებ. წარმოადგინეს „სლაიდ შოუ"— სკოლის მოსწავლეებმა დარბაზის კედლები თემატური ნახატებით მოხატეს.

მოსწავლეები №38 საჯარო სკოლაში არსებული „ეკო-კლუბის" წევრები არიან და აქტიურად მონაწილეობენ ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდაში. კლუბი, დაახლოებით, 5 წელია, რაც სკოლაში ფუნქციონირებს.

„კლუბის წევრები, ძირითადად, მაღალი კლასის მოსწავლეები არიან, შესაბამისად, სკოლის დამთავრებასთან ერთად იცვლება მისი წარმომადგენლობა. ბავშვები აქტიურად ეხმიანებიან ყველა იმ საკითხებს, რაც დაკავშირებულია ჯანმრთელი ცხოვრების წესთან, ეკოლოგიასთან... ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიაწოდონ თანატოლებს და მრავალფეროვანი ღონისძიებებით გაავრცელონ სასარგებლო მასალები," — განაცხადა სკოლის ბიოლოგიის პედაგოგმა და „ეკო-კლუბის" ხელმძღვანელმა, **ნინო მეშველიანმა.**

„ნარკოტიკული საშუალებების თუ თამბაქო მომხმარებლების რიცხვი ძალიან არის გაზრდილი ჩვენს თანატოლებში. შესაბამისად, ჩვენი ჯგუფი მუშაობს, რომ გარკვეული წვლილი შევიტანოთ მათ უკეთ ინფორმირებაში. მოზარდებს გავაცნოთ, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია მათთვის მავნე ჩვევებს," — განაცხადა „ეკო-კლუბის" ერთ-ერთმა წევრმა **მარიამ ჯებაშვილმა.**

ღონისძიებას ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრის ექიმი ალექსანდრე აბულაძე ესწრებოდა.

„ახალგაზრდებს მინდა მოვუწოდო, ორიენტირებული იყვნენ ჯანმრთელობაზე, მივესალმები ამ ბავშვების აქტიურობას და დაინტერესებას ამ პრობლემურ თემასთან დაკავშირებით," — განაცხადა **ალექსანდრე აბულაძემ.**

ალექსანდრე აბულაძის თქმით, ქუთაისის მასშტაბით, დაახლოებით, 2000-მდე წამალდამოკიდებულია. მათ შორის ბევრი მოზარდია. თუმცა, ეს პირობითი ციფრია და გაცილებით მძიმეა რეალობა, შესაბამისად, ახალგაზრდების ინფორმირება აუცილებელია, რათა სავალალო სტატისტიკამ ცოტათი მაინც დაიკლოს.

ჟანა ჯანელიძე

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ემოციური იქნებით, ოცნება შეიძლება რეალობად გექცეთ. რაც დაგეგმილი გაქვთ შეასრულეთ.

კურო: აუცილებლად შეინარჩუნეთ შინაგანი სიმშვიდე. რაც არ უნდა მოხდეს, არ მიაქციოთ ყურადღება.

ტყუპები: საკუთარი მიზნების მისაღწევად შეეცადეთ, მონახოთ თანამოაზრენი. ენდეთ თქვენს გონებასა და ინტუიციას, მაშინ კი თქვენს სურვილებს, გზას ვერავინ და ვერაფერი გადაუღობავს.

კირჩხიბი: ნუ იქნებით ამბიციური. თუ სწორ დასკვნებს გამოიტანთ და სწორად შეაფასებთ მოვლენებს, წარმატებას სწრაფად მიაღწევთ. გაიგებთ სასიამოვნო ამბავს.

ლომი: შესანიშნავი დროა საქმიანი შეხვედრებისათვის. გაითვალისწინეთ ის ადამიანი, ვინც მხარში გიდგათ. მოერიდეთ მწარე და მარილიან საჭმელებს.

ქალწული: მთელი კვირის განმავლობაში მოგიწევთ ურთიერთობების მოწესრიგება მშობლებთან ან უფროსებთან. შესაძლოა, მიიღოთ ძალიან სოლიდური შემოსავალი, რომლის დახარჯვასაც მაშინვე არ გირჩევთ.

სასწორი: ფულის შოვნის არაჩვეულებრივი შანსი მოგეცემათ. ნუ გაუშვებთ მას ხელიდან. თქვენს წარმატებულ კარიერას მხოლოდ გაუწონასწორებელმა ხასიათმა შეიძლება შეუშალოს ხელი. თუ ემოციებს ვერ იმორჩილებთ, ჯობს ხელმძღვანელობასთან პოლემიკას მოერიდოთ.

მორიელი: ყურადღების ცენტრში იქნებით. თქვენით ყველგან აღფრთოვანებულები იქნებიან. ამიტომ იყავით აქტიური, თამამად განახორციელეთ დასახული გეგმები. პირად ცხოვრებაში რადიკალური ნაბიჯებისგან თავი შეიკავეთ.

მშვილდოსანი: მხოლოდ გრძელი და ხარისხიანი სამუშაო მოგიტანთ შედეგებს. ოჯახური ურთიერთობები მცირე ხნით უკანა პლანზე გადავა. სიფრთხილე გამოიჩინეთ სასიყვარულო ისტორიებში.

თხის რქა: მოთმინებით აღიჭურვეთ და დაიცადეთ, ვიდრე ბედის ქალღმერთი კვლავ ღიმილით შემოგხედავთ. დრო ბევრი გაქვთ. შეგიძლიათ შორს გამიზნულ საქმეს მოჰკიდოთ ხელი.

მერწყული: წარმატებული დღეები გელით. ყურადღება გაამახვილეთ პროფესიულ საკითხებზე. დრო თქვენთვის საინტერესო საზოგადოებაში გაატარეთ. კარგი იქნება, თუ მხიარულ წვეულებას მოაწყობთ. რადიკალურ ნაბიჯებს ერიდეთ.

თევზები: კრიტიკულ მდგომარეობაში ხართ, ასე გგონიათ ბედმა ზურგი გაქციათ. ფარ-ხმალს ნუ დაყრით, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. არანტეს; 5. კრავი; 6. უფა; 8. ასო; 9. მაკაო; 11. ალაზანი.
შვეულად: 1. ხალვა; 2. შტო; 3. აგრესია; 4. საფლავი; 7. კაკაო; 10. ლას.

საალდგომო პასკა (კულიჩი)

პასკის სახლში ცხობა რამდენიმე წელია, რაც დავიწყე. ამის სურვილი კი ჩემმა დედამთილმა გამიჩინა. მართალია, ის ჩემსავით არაა შეყვარებული კულინარიაზე, მაგრამ პასკას ყოველთვის სახლში აცხობდა. ერთი ძველი რუსულენოვანი კულინარიული წიგნი აქვს, უამრავი საინტერესო რეცეპტით და სწორედ ამ წიგნის მიხედვით აცხობდა უგემრიელეს პასკას.

მოგვიანებით, ერთ-ერთ კულინარიულ ფორუმზე კიდევ ერთი კარგი რეცეპტი ვიპოვე, ამ ორის გაერთიანებით კი საბოლოო ვერსია შევაჯერე, რომელიც ძალიან მომწონს და ყოველ წელს ვაცხობ, ისე რომ, ექსპერიმენტების სურვილი აღარ მიჩნდება. არაჟანი რეცეპტში სწორედ იმ ძველი რუსული წიგნიდანაა, ის ცომს სინოტივეს აძლევს/უნარჩუნებს და საბოლოო მზა პასკა არის სურნელოვანი, მძიმე, ნოტიო.

სანელებლებს ყოველთვის დიდი ყურადღებით ვეკიდები, აუცილებლად ახალდაფქული და არომატული უნდა იყოს. ახალდაფქულ კარდამონს საოცარი სურნელი აქვს, თავბრუდამხვევი:) შეგიძლიათ, სუნელებს წინასწარ დაასხათ ცოტა სპირტი ან კონიაკი, ასე ბევრი აკეთებს.

ცომს თუ მაცივარში ააფუებთ, უკეთესი იქნება, მაგრამ მთლიან ულუფას თუ გამოაცხობთ, საკმაოდ ბევრია და არა მგონია, მაცივარში დაეტიოს. აქვე გაითვალისწინეთ, რომ მაცივარში აფუება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. მეორე ჩაზელვის შემდეგ ფორმებში გადაიტანთ და დააცლით ხელახლა ამოფუებას. ძალიან ნუ დაბრაწავთ ღუმელში, რადგან გამოშრება, სასიამოვნო ოქროსფერი რომ გახდება, გამოიღეთ.

ინგრედიენტები:

15 ც კვერცხი
1,5 -2 კგ შაქარი
500 გრ კარაქი (ან მარგარინი, ან 50/50)
500 გრ არაჟანი
3,5 კგ ფქვილი (დაახლოებით, შესაძლებელია -/+)
1 ჩ.კ. ვანილი
1 ჩ.კ. მუსკატი
1/2 ჩ.კ. მიხაკი (დაფქული ან დაჩეჩქვილი წვრილად)
1 ჩ.კ. დარიჩინი
2 ჩ.კ. ილი ანუ კარდამონი
2 კანიანად გატარებული ლიმონი
500 გრ ქიშმიში
ფორთოხლის ცუკატები (სასურველია)

ცალკე აიღეთ:
5-6 ს.კ. საფუარი
1 ლ თბილი რძე
1 ს.კ. შაქარი
მარილი
ცოტა ფქვილი საერთო რაოდენობიდან

მომზადება

სანელებლების რაოდენობა შეგიძლიათ გაზარდოთ, აქ მოცემულია აუცილებელი მინიმუმი ქიშმიში დაალბეთ კონიაკში.

თბილი რძის ნახევარში გახსენით საფუარი, შაქარი, ცოტა მარილი, ცოტა ფქვილი. აცალეთ აფუება.

გათქვიფეთ შაქარი და კვერცხები, შეურიეთ არაჟანი და საფუარიანი მასა.

შემდეგ იწყებთ ამ მასით ცომის ზელას: ამატებთ სანელებლებს ლიმონის ჩათვლით, კარგად გახსნით (სუნელების რაოდენობა შეგიძლიათ შეცვალოთ). ფქვილის შუაგულში ამოაღრმავეთ და ჩაასხით ჯერ საფუვრიანი მასა, დაიწყეთ ზელვა და ნელ-ნელა ამატეთ კვერცხიანი მასა და დარჩენილი რძე. როგორც კი სასურველი სისქის ცომს მიიღებთ, შეწყვიტეთ სითხის დამატება, სჯობს, რძე ან კვერცხი მოაკლოთ, ვიდრე მეტი ფქვილი შეურიოთ, ეს ცომს დაამძიმებს (ეს ცვლილება იმიტომ შემომაქვს რეცეპტში, რომ სხვადასხვა ფქვილი ერთმანეთისგან განსხვავდება და ზუსტი რაოდენობა ვერ განვსაზღვრეთ ვერც მე და ვერც მკითხველებმა, რომლებმაც მოამზადეს). ცომი უნდა იყოს პურის ცომზე უფრო ნაზი, მაგრამ არა თხევადი (ზელისას ხელები ისველეთ ზეთში).

მოზელილი ცომი შეფუთეთ და აცალეთ აფუება, შემდეგ უკან ჩაზილეთ, თან შეაზილეთ გამდნარი კარაქი. კარაქი არ უნდა იყოს ცხელი, არამედ გამდნარი და გაგრილებული. ან გადნობის ნაცვლად ძალიან დარბილებული ოთახის ტემპერატურაზე. ეს უკანასკნელიც მიცდია და ძალიან კარგად ერევა ცომს.

თუ დრო გაქვთ, მეორე ამოფუების შემდეგაც ჩაზილეთ, თუ არა და ცომს შეურიეთ ქიშმიში და დაჭრილი ცუკატები, გაანაწილეთ საცხობ ფორმებში 1/3-ზე ან ნახევრამდე და აცალეთ ხელახალი ამოფუება.

გამოაცხვეთ 180 გრადუსზე, შეწითლებამდე. შემდეგ გასინჯეთ ჩხირით, თუ შიგნით მშრალია, გამოიღეთ, თუ არა და დაბალ ტემპერატურაზე ცოტა ხანი კიდევ დატოვეთ.

გაითვალისწინეთ:
ცომს სჭირდება კარგი მოზელა, უნდა მივიღოთ ელასტიური და ნაჩვრეტებიანი სტრუქტურა. კარგი მოზელილი ცომი უნდა იყოს ცოტა წებოვანი, მაგრამ ხელს ადვილად უნდა სცილდებოდეს.

ნინო ჯანანაშვილი
ratatui.me



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

უშიშროების საბჭოს მდივნის, **ირინა იმერლიშვილის** ამოცნობა ჩვენს მკითხველს გაუჭირდა.

რას დაარქმევდით?

აკაკი ბობოხიძე

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

დავით ნარმანია

კიდევ ერთი „დანიშნული"...

დოდო ჭიქაბერიძე

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. ბერძნული ცეკვა; 5. სუბტროპიკული კურკიანი ხილი; 6. ქალაქი ნიგერიაში; 8. მადონას ერთ-ერთი ქმარი ... რიჩი; 9. აიეტის ქალიშვილი; 11. შინაური ფრინველი.
ვერტიკალურად: 1. ნიდერლანდების კუნძული სამხრ. ამერიკასთან; 2. მდინარე ერაყში ... ელ—არაბი; 3. თავშესაფარი თხრილი ფრონტის ხაზზე; 4. ქვეყანა აზიაში; 7. ქალაქი და ნავსადგური იტალიაში; 10. მწვერვალი საბერძნეთში (2456 მ.).



წიგნების მაღაზია ქიმერიონი

qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

• ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;

• კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;

• მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;

• სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;

• ენციკლოპედიები;

• ლექსიკონები;

• ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

იმერი

İMERI TEXTILE COMPANY

სამკერვალო კომპანია

სამკერვალო კომპანია **„იმერში“** მზადდება ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის ფართო ასორტიმენტი:
• პიჯაკი
• ქვედა კაბა
• შარვალი
• პერანგი | მაისური | შორტი
• პალტო | ნახევარპალტო | ქურთუკი | ლაბადა | ჟილეტი
• სამხედრო უნიფორმა
• სასკოლო უნიფორმა
• სხვადასხვა ტიპის სამუშაო ტანსაცმელი

კომპანია **„იმერი“** წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს ცნობილ ქართველ დიზაინერ **ავთანდილ ცქვიტინიძესთან**.

მისამართი: ქ. ქუთაისი, ლადო ასათიანის №119;

ტელეფონი:
+995 431 22 07 08
ელ.ფოსტა: office@imeri.ge
ვებ-გვერდი: www.imeri.ge

მოდის სახლი „მარიონელა“

ექსკლუზიური სადედოფლო და საღამოს კაბები

თბილისი, მ. ჯავახიშვილის (ყოფილი ელბაქიძის დაღმართი) №12
ტელ.: +995 (432) 292-05-04

ქუთაისი, ა. პუშკინის ქუჩა №1
ტელ.: +995 (431) 25-31-21

ელ-ფოსტა:
marionela@mail.ru

www.marionela.ge

აია

ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომპანია

ლიმონათი „აია“ – ნატურალურ ნაყენსა და შაქარზე დამზადებული 11 სახეობის ლიმონათი:
„მსხალი“, „ლიმონი“, „ტარხუნა“, „ფორთოხალი“, „ატამი“, „დაფნა“, „ალუბალი“, „ნაღები“, „საფერავი“, „მარწყვი“, „შოკოლადი“.

„აიას“ ლიმონათი მზადდება თავად ქარხანაში დამუშავებული ცოცხალი ხილის ნაყენისაგან.

ლუდი „აია“ – უმაღლესი ხარისხის ალაოსა და უნიკალური წყაროს წყლისაგან დამზადებული ქუთაისური ლუდი.
ხარშვის პროცესს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მზადდება უახლესი ტექნოლოგიით.
მიირთვით „აიას“ პროდუქცია! იგი აბსოლუტურად უსაფრთხოა!

მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №8
ტელეფონი:
(0 431) 22 01 94;
22 30 31; 22 40 05

ცხვირის ქირურგიული ცენტრი

თემურ ძიძიგური – ცხვირის და ყურის ქირურგი

კეთდება ოპერაციები:

1. გრძელ, კეხიან, ჩამოშვებულ, განიერნესტოიან, გაღუნულ ცხვირზე.
2. ცხვირის ძგიდეზე, ცხვირის ნიჟარებზე და პოლიპებზე.
3. დიდი ზომის და გადმოწეულ ყურის ნიჟარებზე.
4. მკურნალობენ ცხვირიდან სუნთქვის გაძნელებას.

მისამართი: ქუთაისი, სულხან-საბას ქ. №81 (ავანგარდის დასახლების ბოლოს)

ტელეფონი: (0 431) 22-31-02; **მობ.**: (599) 53-69-64; (599) 14-08-13; ბინის (0 431) 24-57-63.



სამშენებლო კომპანია ტობე

ბეტონისა და რკინა-ბეტონის ქარხანა **„ტობე“ აწარმოებს:**

მაღალი სიმტკიცის, სერთიფიცირებულ მ-150; მ-200; მ-250; მ-300; მ-400 მარკის სასაქონლო ბეტონს; შემოღობვის ფილებს, საკედლე პანელებს, საძირკვლის, ზეძირკვლის, სარტყლის, საკედლე, წვრილსაკედლე, ტიხრის ბლოკებს.

ზღუდარებს, რიგელებს, კოლონებს, საკანალიზაციო ჭებს.
ყველა სახის, წინასწარ დაძაბავ კონსტრუქციებს.
შეკვეთები სრულდება დროულად და ხარისხიანად, დამკვეთთან შეთანხმებით.

მისამართი: ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №4

ტელეფონი:
(0 431) 23-60-60; 26-74-37

მობილური:
(5 77) 78-06-70; (5 71) 55-55-01

ქუთაისის ხის გადამამუშავებელი ქარხანა

კავკასუს როუდ პროჯექტ

სიახლე!
სააგარაკე მობილური სახლი (63 მ²):
მისაღები – 21,2 მ²
საძინებელი – 9,4 მ²
საძინებელი – 12 მ²
სამზარეულო – 4,65 მ²
სანკვანძი – 2,3 მ²
ღია აივანი – 8,96 მ²

ფასი: 1 მ² – 750 ლარი (ტრანსპორტირების ჩათვლით).

მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №21
ტელეფონი: (0 431) 23 43 34; 23 64 02; 599 22 88 27

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები

PSPRESS-კლუბი



ქუთაისი, რუსთაველის 37ა. (0 431) 24 45 46; 599 10 77 94

ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ!

სამოქალაქო კამპანია უკანონო მიყურადების წინააღმდეგ

ეს შენ გეხება ისევ გვისმენენ

www.esshengexeba.ge; www.facebook. com/esshengexeba